

ქ. თბილისი

02.04.2020

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/6 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/6 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე სააპელაციო საბჭოს სხდომის ჩატარება მოხდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიღებული გადაწყვეტილება საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ნინო ოკრიბელაშვილი - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;

თამარ მამსიკაშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის N64 საჯარო სკოლის დირექტორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

დავით ჭეიშვილი - სსიპ - ვაჟა-ფშაველას სახელობის ქალაქ თბილისის N87 საჯარო სკოლის დირექტორი - საბჭოს მდივანი;

მანანა სამხარაძე - სსიპ - ქალაქ თბილისის N220 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

თამარა თორია - ა(ა)იპ - საქართველოს ფერმერთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;

ელგუჯა მელაძე - ა(ა)იპ - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;

თამარ ვეფხვაძე - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში კონსულტანტი, ფილოლოგიის დოქტორი;

ნინო კეკელიძე - შპს "აღმოაჩინე საქართველოს" დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ლალი გიორგიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;

გაბა გვენტაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ანა გვრიტიშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

6. თვე - 15

ლალი ოდიშელი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს ქუთაისის უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

ლელა ქელბაქიანი - უნივერსიტეტი რექტორი;

ხათუნა რუსაძე - მედიცინის ფაკულტეტის დეკანი;

ილია მესხი - საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;

გიორგი გაბისონია - საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;

ნინო ალავიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

თიესა მორჩაძე - ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი;

თეონა გრიგოლაშვილი - საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;

თათია ხარაბაძე - საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი;

სოფიო ყუბანეიშვილი - იურიდიული და საქმისწარმოების სამსახურის უფროსი.

ა(ა)იზ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

დავით კერესელიძე - აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე;

ეკატერინე აზარაშვილი - წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე (კანცლერი).

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინა მოწვევის წევრები:

ხათუნა თოდაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ნარკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, 2019 წლის მოწვევის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრი;

მარიამ დარბაიძე - 2019 წლის მოწვევის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე.

სხვა დამსწრე პირები:

ქრისტინე გაბისონია - სტენოგრაფისტი.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:03 საათზე.

სხდომას ესწრებოდა საბჭოს 8 წევრი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/5 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28⁵ მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 99-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ოკრიბელაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4

მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28⁵ მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 99-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილი იყო, რადგან მას ესწრებოდა საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28⁷ მუხლის მე-3 პუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 101-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181-ე დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი, სააპელაციო საბჭოს ანიჭებდა უფლებამოსილებას, რომ ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დებულებებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოებები განეხილა და გადაწყვეტილებები მიეღო დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს - ქუთაისის უნივერსიტეტის მიერ „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე წარდგენილი სააპელაციო საჩივრის განხილვა;
2. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი სააპელაციო საჩივრის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა წარდგენილი არ იქნა. შესაბამისად, საბჭომ ერთხმად დაამტკიცა წარმოდგენილი სხდომის დღის წესრიგი.

1. შპს ქუთაისის უნივერსიტეტის მიერ „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე წარდგენილი სააპელაციო საჩივრის განხილვა

ცენტრის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის წინა მოწვევის საბჭოს წევრი და საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარსა და საჩივართან დაკავშირებულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა აპელანტს წარმოედგინა მისი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელმა, სოფიო ყუბანეიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ საკითხი ეხებოდა შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას. კერძოდ, ისინი ითხოვენ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭო 2019 წლის 24 ოქტომბრის №193 გადაწყვეტილების გაუქმებას და აკრედიტაციის საბჭოსთვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნებას. ასევე, მან საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება იყო ინდაქტი, რომელიც გამოცემული იყო საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, არ იყო წერილობით დასაბუთებული.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სააპელაციო საბჭოს წევრებს შესაძლებლობა ჰქონდათ უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარსა და თანდართულ დოკუმენტაციას გაცნობოდნენ, დაინტერესების შემთხვევაში დამატებითი მასალა გამოეთხოვათ. შესაბამისად, დაწესებულებას მიაჩნდა, რომ საჩივარი უნდა დაკმაყოფილებულიყო შემდეგი გარემოებების გამო:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 24 ოქტომბრის №193 გადაწყვეტილება არ იყო სრულყოფილად დასაბუთებული და მათთვის ბუნდოვანი იყო ის გარემოებები, თუ რატომ ეთქვა პროგრამას აკრედიტაციის მინიჭებაზე უარი. უნივერსიტეტის წარმომადგენლის განმარტებით, აკრედიტაციის დებულების 27^ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, აკრედიტაციის საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. ასევე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ადგენს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას, რომელიც უნდა იყოს ამომწურავი, სრული, ნათელი, პასუხობდეს ადმინისტრაციული წარმოებისას გამოკვეთილ ყველა არსებით საკითხისა და კითხვას. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, თუკი სასამართლო პრაქტიკას მოიშველიებდა დაწესებულება, ადმინისტრაციული აქტის კანონიერად მიჩნევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტი იყო მისი დასაბუთების ხარისხი. შესაბამისად, მისი მოსაზრებით, აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში უნდა

6. თოხოჭი

ყოფილიყო მსჯელობა არსებულ პირობებში ხომ არ იყო სხვა სახის გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა, რომელსაც უნდა ჰქონოდა შესაბამისი დასაბუთება.

სააპელაციო საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ 2019 წლის 24 ოქტომბრის №193 გადაწყვეტილების 2.4 პუნქტი მათთვის ბუნდოვანი იყო. კერძოდ, 2.4 პუნქტში მითითებული იყო, რომ საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში არსებული შეფასება, თუმცა არ ახლავდა სრულყოფილი წერილობითი დასაბუთება რომელი ფაქტობრივი გარემოებით იხელმძღვანელა საბჭომ, რომელი შეფასება არ გაიზიარა და რა საფუძველით.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, გადაწყვეტილების 2.5 პუნქტში ასევე მითითებული იყო, რომ აკრედიტაციის საბჭომ აკრედიტაციის სტანდარტის 4.1 ქვესტანდარტი შეაფასა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი, თუმცა გადაწყვეტილების აღნიშნულ ნაწილს ეწინააღმდეგება მომდევნო ნაწილი, სადაც მოცემულ ცხრილში 4.1 ქვესტანდარტი აღნიშნულია, როგორც მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან. მათთვის აღნიშნული საკითხი იყო ბუნდოვანი.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების 2.5 პუნქტზე მსჯელობის შემდეგ, საბჭომ მსჯელობა განაგრძო 2.3 ქვესტანდარტთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ საბჭოს არგუმენტაცია აქაც იყო დაუსაბუთებელი და არ შეესაბამებოდა არსებულ მოცემულობას. კერძოდ, მითითებული იყო, რომ კლინიკურ სილაბუსებში განსაზღვრული მიდგომა ერთგვაროვანი იყო და არ ითვალისწინებდა საგნისათვის დამახასიათებელ ინდივიდუალურ მიდგომებს, სპეციფიკურ სწავლების შედეგებს, მიღწევის ინდივიდუალურ გეგმებსა და საშუალებებს. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, თუკი სააპელაციო საბჭოს წევრები სრულყოფილად გაეცნობოდნენ საგანმანათლებლო პროგრამას, სასწავლო გეგმასა და სილაბუსებს, დარწმუნდებოდნენ, რომ სილაბუსებში მიდგომა არ იყო ერთგვაროვანი.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სილაბუსებში მითითებული იყო თითოეული კლინიკური საგნის ინდივიდუალური მიდგომა, სწავლის შედეგის მიღწევის ინდივიდუალური საშუალებები. მან წაიკითხა ფრაზა აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან, რომლის მიხედვითაც არსებული სილაბუსებით ექვექვეშ დგებოდა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობები. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული შეფასება იყო დაუსაბუთებელი, რადგან საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამებოდა საერთაშორისო სტანდარტებს, ექსპერტთა დასკვნა იყო დადებითი, გარე ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების დასკვნები იყო დადებითი.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, აკრედიტაციის საბჭოს მხრიდან სრულყოფილი და არსებითი განხილვის ჩატარების შემთხვევაში, ნათელი გახდებოდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების მიზანი და ამოცანა იყო მკაფიოდ დასახული და მიღწევადი, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები, როგორც ზოგადი ისე დარგობრივი კომპეტენციები შესაბამისი იყო სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) სტანდარტებთან.

უნივერსიტეტის წარმომადგენლის განმარტებით, ექსპერტთა დასკვნით საგანმანათლებლო დაწესებულებას გააჩნდა საკმარისი რესურსი, რათა განეხორციელებინა სასწავლო პროცესი.

6. თქვენი-წმ

ამასთან, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების 2.5 პუნქტზე ზეპირ მოსმენაზე მსჯელობა არ ყოფილა, შესაბამისად, დაწესებულების წარმომადგენლებს არ მისცემიათ შესაძლებლობა დასაბუთებული არგუმენტაცია და მოსაზრება წარმოედგინათ სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ამ გარემოებას ადასტურებდა სხდომის ოქმიც, სადაც ჩანდა, რომ საბჭოს წევრების მხრიდან სწავლის მეთოდებზე კითხვა არ დასმულა, შესაბამისად, გადაწყვეტილებაში მიღებული მსჯელობა ხელახლა შესწავლას საჭიროებდა.

უნივერსიტეტის წარმომადგენლის განმარტებით, გადაწყვეტილების 2.5 პუნქტი 4.1 ქვესტანდარტთან დაკავშირებით განმარტავდა, რომ ადამიანური რესურსის უცხო ენის კომპეტენცია არ შეესაბამებოდა სწავლების დონეს, რაც ხელახლა შესწავლას საჭიროებდა აკრედიტაციის საბჭოს მხრიდან. მან აღნიშნა, რომ შესაძლებელი იყო უცხო ენის კომპეტენციის ამაღლება, რასაც უსდ დღემდე ახორციელებდა, რისი დამადასტურებელი მტკიცებულება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება დანართის სახით წარმოადგინეს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იყო ჩანაწერი, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მთელ რიგ კომპონენტებში სწავლის შედეგი იყო მიუღწევადი, რაც მისი მოსაზრებით, ხელახლა შესწავლას საჭიროებდა. მოცემულ შემთხვევაში დეტალურად უნდა ყოფილიყო განმარტებული თუ რა სახის პრობლემებს აწყდებოდნენ აკრედიტაციის საბჭოს წევრები.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის ფასეულობა გაცილებით დიდი იყო, ტექნიკური ხარვეზების გასწორება შესაძლებელი იყო სწავლის პროცესის დაწყებამდე, რაზეც მუშაობდა აკადემიური პერსონალი. შესაბამისად, სილაბუსებში უკვე გამოსწორებული იყო ყველა გარემოება. შესაბამისად, მათი მოსაზრებით, აღნიშნული მოცემულობა იმსახურებდა ხელახალ მოსმენას და განხილვას.

გარდა ამისა, აპელანტმა აღნიშნა, რომ კონკურსის შედეგად დამატებით იქნა არჩეული აკადემიური პერსონალი, ინგლისური ენის შესაბამისი ცოდნის დონით. აპელანტმა ასევე განმარტა, რომ აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე საერთაშორისო ექსპერტი ჩაერთო სკაიპით ხანმოკლე დროით, მან განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა იქნებოდა ძალიან კარგი. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, საერთაშორისო ექსპერტმა საბჭოს წარუდგინა მოკლე დასკვნის პრეზენტაცია, მან არაერთხელ აღნიშნა, რომ დაესვათ მისთვის კითხვები არსებობის შემთხვევაში, თუმცა უშედეგოდ. შესაბამისად, მას არ მიეცა შესაბამისი საშუალება დაესაბუთებინა მის მიერ გაცემული რეკომენდაციები, წარმოედგინა სრულყოფილი პოზიცია საბჭოს წევრების მხრიდან შესაძლო კითხვების არსებობისას. უნივერსიტეტის წარმომადგენლის მოსაზრებით, აკრედიტაციის საბჭოს წევრებს, როდესაც ჰქონდათ შეკითხვები, ხელახლა უნდა მოეხდინათ საერთაშორისო ექსპერტის ჩართვა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აპელანტმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტსაც, რომ ექსპერტთა დასკვნა იყო დადებითი, ასევე, მათ მიერ ჩატარებული გარე ექსპერტთა დასკვნაც იყო დადებითი. აკრედიტაციის ექსპერტთა შეფასება, რომელიც განხორციელდა 2019 წლის 5-6 სექტემბერს, ასევე იყო დადებითი. ექსპერტთა დასკვნის თანახმად, პირველი და მე - 5 სტანდარტი შეფასდა როგორც - შესაბამისი მოთხოვნებთან, მე-2, მე-3 და მე - 4 სტანდარტი შეფასდა როგორც - მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან. აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, მე-2 სტანდარტი არ იყო შესაბამისი მოთხოვნებთან, თუმცა რატომ, ეს არ იყო გადაწყვეტილებაში სრულყოფილად დასაბუთებული.

უნივერსიტეტის განმარტებით, აკრედიტაციის სხდომაზე ექსპერტი ია ფანცულაია დაეთანხმა საერთაშორისო ექსპერტის მოსაზრებას, რომ შესაძლებელი იყო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, თუ დაწესებულება გაითვალისწინებდა რეკომენდაციებს. აპელანტმა ამოიკითხა ამონარიდი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 24 ოქტომბრის სხდომის ოქმიდან, რომ თუ რეკომენდაციები იქნებოდა გათვალისწინებული და უსდ მზადაა გაითვალისწინოს ისინი, ის გავა სწავლის შედეგებზე.

აპელანტის თქმით, დაწესებულებამ დამატებით გამოაცხადა აკადემიური პერსონალის კონკურსი, შედეგად მიიღეს ახალი აკადემიური პერსონალი სხვადასხვა თანამდებობაზე, რომელთა შესახებაც დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილი იყო აპელაციის საბჭოსთვის. ასევე, უნივერსიტეტის წარმომადგენლის განმარტებით, მედიცინის ფაკულტეტზე რამდენიმე აკადემიურმა პერსონალმა უცხო ენის გადამზადების კურსი წარმატებით გაიარა.

სააპელაციო საჩივრის ავტორის განმარტებით, აკრედიტაციის დებულების მიხედვით, საბჭო გადაწყვეტილებას იღებს სააკრედიტაციო განაცხადის, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, წარმოდგენილი არგუმენტირებული პასუხის და ზეპირი მოსმენის საფუძველზე. დაწესებულებას მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული წარმოებისა და გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე არ ჰქონდა ადგილი გარემოებათა სრულყოფილ გამოკვლევას, აკრედიტაციის საბჭო არ დაეყრდნო არც ექსპერტთა დასკვნას, არც გარე ექსპერტთა დასკვნას, არგუმენტირებულ პოზიციას და ისე მიიღო გადაწყვეტილება. უნივერსიტეტის წარმომადგენლის განმარტებით, საბჭოს თავჯდომარეს უნდა მოეხდინა გარემოებების გამოკვლევა ზეპირ მოსმენაზე. შესაბამისად, აპელანტს მიაჩნია, რომ საჩივარი იმსახურებს დაკმაყოფილებას და საკითხის ხელახლა განხილვას აკრედიტაციის საბჭოს მიერ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ილია მესხმა დაამატა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა იყო დადებითად შეფასებული, თუმცა ჰქონდათ ხარვეზები, რომელიც ჩაასწორეს. კერძოდ, ქიმიასთან მიმართებაში ტერმინოლოგია გასწორდა. ასევე იყო გარკვეული კოლიზია სტანდარტიზებულ პაციენტთან დაკავშირებით, როცა ზოგჯერ სიმულაციის გამოყენება შეიძლებოდა, ეს თარგმნის პრობლემა იყო რაც ასევე გამოსწორდა სილაბუსებში. მისი განმარტებით, ასევე გაწერილი იყო შეფასების რომელ მეთოდოლოგიაში გამოიყენებოდა სიმულაციური პაციენტი, სტანდარტიზებული პაციენტი, მულაჟები. მაგალითად, მეან გინეკოლოგიაში ჩაასწორდა, რომ იყო მულაჟი, ასევე, სიმულაციური პაციენტი, რომელიც დაავადების ნაწილში გაიყვანდა სტუდენტს. რაც შეეხება იმას, რომ საგნების სპეციფიკური შედეგები არ იყო გამოკვეთილი, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი ამზადებდნენ ზოგადი პროფილის ექიმს, ზოგადი უნარები ყველა საგანში იყო მოცემული, თუმცა ახალ, განახლებულ სილაბუსებში უფრო დააზუსტეს და ყველა საგანს მიაწერეს კონკრეტული შედეგები. შესაბამისად, მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე ნახსენები ყველა შენიშვნა იყო უკვე გამოსწორებული, შესაბამისად, პროგრამა ხელახლა განსახილველად უნდა დაბრუნებოდა აკრედიტაციის საბჭოს.

სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ გადაწყვეტილების მიღების დროს, სააპელაციო საბჭო მსჯელობდა და ეყრდნობოდა მხოლოდ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და არა მაგალითად აკრედიტაციის საბჭოს სხდომის შემდგომ გამოსწორებულ დოკუმენტებს.

2019 წლის მოწვევის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ სააპელაციო საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ აკრედიტაციის საბჭოს გაფართოებული შემადგენლობის გადაწყვეტილება უარყოფითი აღმოჩნდა, რადგან წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამით და სილაბუსებით საგანმანათლებლო პროგრამა ვერ გადიოდა სწავლის შედეგებზე.

აკრედიტაციის საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ თავად საგანმანათლებლო პროგრამა სილაბუსების გარეშე დამაკმაყოფილებელ შეფასებას იმსახურებდა, რადგან იყო გარკვეული ინტეგრაცია, რომელიც მიესადაგებოდა ქართულ სტანდარტებს, მედიცინის დარგობრივ მახასიათებელს, თუმცა გარდა იმ საკითხებისა რაც ექსპერტებმა წამოწიეს, საბჭოს წევრებს ეუცნაურათ ექსპერტთა დასკვნაში საერთაშორისო ექსპერტის ჩანაწერი, რომელმაც ბრძანა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა იყო ამბიციური და ის ისურვებდა, 2 წლის შემდეგ ენახა, თუ როგორ განვითარდებოდა საგანმანათლებლო პროგრამა.

ხათუნა თოდაძის განმარტებით, საერთაშორისო ექსპერტის რეკომენდაცია იყო ის, რომ პროგრამაზე 2 წლის თავზე განხორციელებულიყო მონიტორინგი. აკრედიტაციის საბჭოს წევრის თქმით, ხანგრძლივი დისკუსია გამოიწვია სილაბუსებმა, რომელთა საშუალებითაც შეუძლებელი იყო შედეგების მიღწევა. მისი განმარტებით, საბჭოს სხდომაზე საუბარი იყო, იმაზე, რომ სპეციფიკური კომპეტენციები არ იყო გამოხატული სილაბუსებში, მაგალითად, მეან გინეკოლოგიის სილაბუსში პროფესიული კომპეტენციების, პროცედურების ჩატარების უნარებში აღნიშნული იყო თუ რა უნდა ისწავლოს მეინ გინეკოლოგიის დისციპლინის გავლის პერიოდში სტუდენტმა, ესენია: სასიცოცხლო ნიშნები, პულსი, სუნთქვა, ტემპერატურის განსაზღვრა, წნევის გაზომვა, პერიფერიული ვენის ვენოპუნქტურა სიმულატორის გამოყენებით, პერიფერიული ვენის კათეტერიზაცია, სამკურნალო საშუალებების ვენაში შეყვანა იმფუზიის გამოყენებით, კანქვეშ ან კუნთში ინექციის განხორციელება, ჟანგბადის მიწოდება, პაციენტის ტრანსპორტირება, შარდის ბუშტის კათეტერიზაცია, შარდის ანალიზის ჩატარება, ელექტრო კარდიოლოგიის გადაღება, კარდიოლოგიის ინტერპრეტაცია და სასუნთქი სისტემის ტესტების ჩატარება. იგივე კომპეტენციები სრულიად სხვა სილაბუსში იყო მოცემული. ასევე - თავი, კისერი, ოფთალმოლოგია, სტუდენტი გამოიმუშავებდა იგივე უნარებს. შესაბამისად, ძალიან ბევრ სილაბუსში სტუდენტები გადიოდნენ ერთიდაიგივე სწავლის შედეგებზე.

ხათუნა თოდაძის განმარტებით, ზემოაღნიშნულ ხარვეზებთან დაკავშირებით აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაწესებულების წარმომადგენელმა არგუმენტად მოიყვანა, რომ ისინი ზრდიან ზოგადი პრაქტიკის ექიმს, რაც არ არის სწორი, რადგან ოჯახის ექიმი არის პოსტდიპლომური განათლებას შემდეგ მოპოვებული კომპეტენცია, მხოლოდ და მხოლოდ დიპლომამდელი განათლება ამას ვერ მისცემს სტუდენტს. ამასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენლის პასუხი იყო ის, რომ ვინაიდან ეს გაწერილი იყო დარგობრივ მახასიათებელში, ამიტომ ყველა კლინიკურ დისციპლინას მოარგეს ერთი და იგივე შედეგები. ხათუნა თოდაძემ განმარტა, რომ დარგობრივ მახასიათებელში ეს მოყვანილი იყო მაგალითად და არა აპრიორად.

ხათუნა თოდაძის განმარტებით, მეორე საკითხი, რამაც გამოიწვია დისკუსია, იყო ის, რომ შეფასების მეთოდები არ იყო განსხვავებული. პროგრამის მიხედვით, კლინიკურ დისციპლინებში იყო რეკომენდირებული ოსკის გამოყენება, რაც იყო კარგი. ამასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ 30-მდე სილაბუსში კლინიკური დისციპლინის დასკვნითი გამოცდის შეფასება იყო 40 ქულა, ოსკით მიმდინარეობდა, რაც ყველა საგანში იყო „Copy/ paste“-ით გადატანილი, ის წარმომადგენდა სტუდენტის თეორიული და პრაქტიკული უნარების შეფასების ეფექტურ მეთოდს, აღნიშნული გამოცდის დროს გამოიყენებოდა სტანდარტიზებული პაციენტი, რომელთან ურთიერთობის დროსაც

გამოვლინდებოდა სტუდენტის მიერ თეორიული შესაძლებლობების ფლობა, არცერთ სილაბუსში არ არის მოხსენიებული, რომ ოსკის გამოცდის დროს გამოყენებული იქნება სიმულატორი ან სიმულირებული პაციენტი. მაგალითად, მეან გინეკოლოგიის შემთხვევაში თუ როგორ აპირებდნენ სტუდენტების შეფასებას, დარგობრივი მახასიათებლით სტუდენტს უნდა შეეძლოს გინეკოლოგიური გასინჯვა, ან რამდენად საჭიროა ამის ცოდნა, როდესაც არსებობს სიმულატორები, რომელთა მუშაობის დროს შესაძლებელია ამ უნარების გამოჩენა. ხათუნა თოდაძის თქმით, დისკუსიის დროს არადამაჯერებელი იყო დაწესებულების წარმომადგენლების პასუხები, იყო ჩამონათვალი რამდენ სტუდენტზე რამდენი პაციენტი უნდა მოეწვიათ, უფრო მეტი პაციენტის მოწვევა იქნებოდა შესაძლებელი თუ კარგ თანხას გადაუხდიდნენ.

აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე ასევე, დაისვა საკითხი იმაზე, რომ ფსიქიატრიის სილაბუსის შემთხვევაში სტანდარტიზებული პაციენტების გამოყენება რამდენად ეთიკური იყო, თუ უმჯობესი იყო სიმულაციური პაციენტი. ხათუნა თოდაძემ აღნიშნა, რომ ის მოხარული იყო, რომ გარკვეული ცვლილებები შეიტანეს სილაბუსებში, თუმცა მათ იმსჯელეს იმ დოკუმენტების მიხედვით რაც აკრედიტაციის საბჭოზე იყო წარმოდგენილი და რაც ექსპერტებს ჰქონდათ შეფასებული. მისი განმარტებით, სტანდარტიზებული პაციენტი შეიძლება იყოს გამოყენებული კომუნიკაციის უნარების გასარკვევად, დიფერენციალური დიაგნოზის დასმისთვის, რჩევების მიცემისთვის და არა კლინიკური უნარების იმ ნაწილის წარმოსაჩენად, რაც გასინჯვას, მშობიარობას ან სხვაგვარ მანიპულაციებს ეხება. გამომდინარე აქედან ჩაითვა რომ საგანმანათლებლო პროგრამა ამ ქვესტანდარტში არ აკმაყოფილებდა მიზნებს, შედეგებს და ის არ იყო შესაბამისი აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან.

სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საექსპერტო ვიზიტის შემდეგ ოსკთან დაკავშირებით იყო გაცემული რეკომენდაცია, რომ უნივერსიტეტს ჰქონოდა 8 სადგური და რეკომენდირებული იყო ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელება, ის დაინტერესდა აკრედიტაციის საბჭოს წევრი რას ფიქრობდა ამასთან დაკავშირებით.

ხათუნა თოდაძემ აღნიშნა, რომ საბჭოზე განიმარტა, რომ სტუდენტს 4 პრაქტიკული ამოცანა მიეცემოდა, დაყოფილი იქნებოდა სადგურებად, მაგრამ ეს არ ჩანდა არცერთ წარმოდგენილ სილაბუსში, ასევე, სხდომაზე მხოლოდ სადგურების რაოდენობაზე არ იყო საუბარი. მისი განმარტებით, აკრედიტაციის ექსპერტებს, რომ უფრო სიღრმისეულად შეესწავლათ სილაბუსებში დაკოპირების საკითხები, აღნიშნული გარემოება დასკვნაში აუცილებლად იქნებოდა ასახული.

აპელაციის საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ხათუნა თოდაძეს მე-2 სტანდარტთან დაკავშირებით ესაუბრა, რაზეც საჩივარში ეწერა, რომ სხდომაზე არ იყო განხილული. ხათუნა თოდაძემ განმარტა, მე-2 სტანდარტთან დაკავშირების სხდომაზე იყო დეტალურ მსჯელობა, რაც ფიქსირდება აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმში. მისი განმარტებით, 2.3 ქვესტანდარტის შეფასება იყო მთავარი, ხოლო 2.5 ქვესტანდარტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ოქმში მოყვანილი იყო გარკვეული საკითხები, რომ სილაბუსებში საათები არ ემთხვეოდა კრედიტების განაწილებას და ვერ მიიღწეოდა შედეგი. რაც შეეხება 4.1 ქვესტანდარტს, ექსპერტებსაც არ ჰქონდა სრული შესაბამისობა დაწერილი, ასევე, ითქვა, რომ სხდომას დამატებით მოწვეული საბჭოს წევრებიც ერთვებოდნენ, რომლებმაც ექსპერტს ჰკითხეს თუ რამდენად შეესაბამებოდა აკადემიური პერსონალის ინგლისური ენის დონე და პედაგოგიური საქმიანობა, თუ ჩატარდა საჩვენებელი ლექციები, რაზეც მიიღეს დადებითი პასუხი, თუმცა ამის დამადასტურებელი მტკიცებულება არ მიუღიათ, არც ექსპერტებისგან და არც დაწესებულების წარმომადგენლებისგან. აკრედიტაციის საბჭომ მიიჩნია, რომ ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებით არ იყო მოზიდული ისეთი

ს. თოდაძე - შ.რ

რესურსები, რომელიც შეესაბამება სტანდარტებს, განსაკუთრებით უცხოენოვანი სტუდენტებისთვის და იმ საგანმანათლებლო პროგრამისათვის, სადაც სტუდენტმა ინგლისურ ენაზე უნდა ისწავლოს.

სააპელაციო საბჭოს წევრმა ელგუჯა მელაძემ აკრედიტაციის საბჭოს წევრს ჰკითხა, როგორ მიიჩნევდა ის, თუ იყო დაწესებულების მხრიდან გათვალისწინებული შენიშვნები.

ხათუნა თოდაძემ განაცხადა, რომ აკრედიტაციის დებულების მიხედვით მათ არ აქვთ უფლება იმსჯელონ იმ ცვლილებებით, რაც დაწესებულებამ განახორციელა ექსპერტთა ვიზიტის, მითუმეტეს აკრედიტაციის საბჭოს სხდომის შემდეგ. ხათუნა თოდაძის მოსაზრებით, ხარვეზების გამოსწორების დამადასტურებელი დოკუმენტაცია მას არ უნახავს, თუმცა მისი მოსაზრებით, ყველა რეკომენდაციის გათვალისწინება ამ მცირე დროში და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით შეუძლებელი იყო. მისი მოსაზრებით, 30 კლინიკურ საგანში ოსკის ჩატარება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო და არც იყო საჭირო, რადგან უამრავი უცხოური მაგალითი იყო, სადაც არ არის ყველა კლინიკურ საგანში ოსკი განსაზღვრული. მისი თქმით, საგანმანათლებლო პროგრამა შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომ იყო დამუშავებული, თუმცა არ შეესაბამებოდა სილაბუსებს, არ იყო განსაზღვრული კონკრეტული სილაბუსები როგორ მიმდინარეობდა, რა შედეგზე გადიოდნენ, როგორ ხდებოდა ამის შეფასება, მისი თქმით, კომპეტენციების რუკა უნდა ყოფილიყო ასახული თითოეულ სილაბუსში, რაც სახეზე არ იყო.

სააპელაციო საბჭოს წევრმა თამარ თორიამ აღნიშნა, რომ მისი აზრით, ხათუნა თოდაძემ მკაფიოდ დაასაბუთა მისი პოზიცია, ის დაინტერესდა წერილობით თუ იქნა გადაწყვეტილება ასე მკაფიოდ ჩამოყალიბებული, საჩივარში ნახსენები იყო, რომ ოქმშივე წერია, რომ გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნებულიყო 7 ნოემბერს, თუმცა 8 ნოემბერს მოხდა გადაწყვეტილების გამოქვეყნება, რაც რეალურად ვადის დარღვევას ნიშნავდა.

ხათუნა თოდაძემ აღნიშნა, რომ საბჭოს სხდომის ოქმისა და გადაწყვეტილების ატვირთვა ცენტრის ვებგვერდზე ხდებოდა საბჭოს სამდივნოს მეშვეობით, ამიტომ აღნიშნულ საკითხზე ის არ ფლობდა სრულყოფილ ინფორმაციას. შესაბამისად, უმჯობესი იყო აღნიშნული საკითხი გარკვეულიყო ცენტრთან. რაც შეეხება იმას, თუ რამდენად დეტალურად იყო ეს ყველაფერი საბჭოს გადაწყვეტილებასა და ოქმში აღნიშნული, მან აღნიშნა, რომ ორივე დოკუმენტში დეტალურად იყო მოცემული ის გარემოებები, რომელზე დაყრდნობითაც საბჭომ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება. ხათუნა თოდაძემ აღნიშნა, რომ დეტალურად იყო განხილული შენიშვნები და რეკომენდაციები, ხოლო საბჭოს გადაწყვეტილებაში მითითებული იყო სქემატურად მოტივი თუ რატომ მოხდა ქვესტანდარტების შეფასებების ჩამოწევა.

დაწესებულების წარმომადგენელი სოფიო ყუბანეიშვილი არ დაეთანხმა საბჭოს წევრს, რომ გადაწყვეტილება და ოქმი იყო დასაბუთებული. ასევე, მისი თქმით, კრედიტებისა და საათების შესახებ ოქმში ვერ შეხვდებოდნენ შესაბამის ჩანაწერს, ასევე არ იყო საუბარი სწავლის მეთოდებზე. შესაბამისად, ისინი ითხოვენ იმას, რომ ხელახლა იყოს მათი საგანმანათლებლო პროგრამა შესწავლილი, მათ ხელახლა არ დაუწერიათ საგანმანათლებლო პროგრამა, გაითვალისწინეს ტექნიკური ხარვეზები ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით, აკადემიური პერსონალის რაოდენობასთან დაკავშირებით კი არ იყო საუბარი.

ხათუნა თოდაძემ განაცხადა, რომ ექსპერტთა დასკვნაში იყო საუბარი ოსკთან მიმართებაში თუ რამდენად შეესაბამებოდა სტუდენტებისა და პედაგოგების რაოდენობას.

დაწესებულების წარმომადგენელმა სოფიო ყუბანეიშვილმა აღნიშნა, რომ საერთაშორისო ექსპერტთან არ დასმულა კითხვა ექსპერტთა დასკვნასთან მიმართებაში, რაც შეეხება იმას, რომ ლექციების ჩატარების მტკიცებულება არ წარმოდგენია უნივერსიტეტს, აღნიშნულ საკითხზე თუ ექვი შეეპარებოდათ საბჭოს წევრებს შესაბამის დოკუმენტაციას წარუდგენდნენ მათ.

საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა 14:54 საათზე.
საბჭოს სხდომა განახლდა: 15:27 საათზე.

სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრს ხათუნა თოდაძეს გაწეული სამუშაოსათვის. ამასთან, საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სააპელაციო საბჭოს წევრები დეტალურად გაეცნენ სააპელაციო საჩივარს, აკრედიტაციის საბჭოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას, სხდომის ოქმსა და ცენტრში წარმოდგენილ სააკრედიტაციო მასალებს. მისი მოსაზრებით, აკრედიტაციის საბჭოს ოქმი და გადაწყვეტილება იყო საკმაოდ ინფორმაციული, მასში ასახული იყო ყველა ძირითად გარემოება, თუმცა სააპელაციო საბჭოს წევრთა მოსაზრებით, აკრედიტაციის საბჭოს უფრო მეტად უნდა ემსჯელა აკრედიტაციის მე-2 და მე-4 სტანდარტებთან მიმართებით, კერძოდ, რამდენად აკმაყოფილებდა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა ამ სტანდარტებს. შესაბამისად, საბჭოს მოსაზრებით, მიზანშეწონილი იყო, რომ საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის მე-2 და მე-4 სტანდარტთან მიმართებით უფრო დეტალურად და სიღრმისეულად განხილულიყო, რათა დაინტერესებულ მხარეს არ დარჩენოდა განცდა, რომ საკითხი საბჭოს მიერ არ იყო ბოლომდე და სიღრმისეულად შესწავლილი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 04 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28⁵ მუხლის პირველი პუნქტისა და 28⁷ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

6. თოქოქ - ში

2. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი სააპელაციო საჩივრის განხილვა

ცენტრის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წინა მოწვევის თავმჯდომარე და დაწესებულებების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარსა და საჩივართან დაკავშირებულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს წარმოედგინა თავისი პოზიცია.

დაწესებულების აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ დავით კერესელიძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ მათი საჩივრის პირველი ნაწილი ეხებოდა იმას, რომ პირველი სტანდარტის განხილვის დროს, საბჭოს ერთ-ერთ წევრს დაწესებულების სახელი არ მოსწონდა, მეორე წევრს არ მოეწონა, რომ უნივერსიტეტის წარმომადგენელი პასუხს სცემდა შენიშვნებს. საუბარი იყო ძირითადად საბჭოს მოწვეულ წევრებზე, რამაც გამოიწვია საჩივრის შემოტანა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათი მოსაზრებით, როცა საბჭო სათათბირო ოთახში გავიდა გადაწყვეტილების მისაღებად, მათ გაითვალისწინეს ექსპერტების ნათქვამი, რომ მისთვის რთული იქნებოდა ვერიფიკაცია და გაკონტროლება, რომ სტუდენტების მიღება მოხდებოდა რომელიმე სხვა მიმართულებით თუ მედიცინის მიმართულებით. საუბარი იყო იმაზე, რომ დაწესებულების სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა გაზრდილიყო 5 000-მდე. დავით კერესელიძის განმარტებით, საბჭოს სხდომის მიმდინარეობისას კი ამ მიმართულებით ეჭვი არავის გასჩენია. საბჭოს მიმდინარეობისას უთანხმოება იყო საბჭოს თავმჯდომარეს, ექსპერტებსა და მოწვეულ წევრებს შორის, საბოლოო ჯამში კი მიიღეს უცნაური გადაწყვეტილება, კერძოდ, არ გაზრდილა დაწესებულების სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, მაგრამ 2 წელში მონიტორინგის შედეგად მოხდებოდა შემოწმება სტუდენტების რაოდენობა მედიცინის მიმართულებით გაიზრდებოდა თუ არა. შესაბამისად, დავით კერესელიძის მოსაზრებით, საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ იყო ლოგიკური.

დაწესებულების წარმომადგენელმა დავით კერესელიძემ განმარტა, რომ მათ წარმოდგენილი ჰქონდათ სტუდენტთა კონტინგენტის დაანგარიშების მეთოდოლოგია, სადაც რამდენიმე წელი ჰქონდათ ზრდის ტენდენცია მედიცინის მიმართულებით. ეს განპირობებული იყო იმით, რომ უფრო ნაკლები სტუდენტი ამთავრებდა საგანმანათლებლო პროგრამას ვიდრე იღებდნენ, რეალურად კი იყო ფიქსირებული 300. 2022-2023 წელს კი მეტი სტუდენტი დაამთავრებდა საგანმანათლებლო პროგრამას, რადგან 2 წელი ჰქონდათ სტუდენტთა დიდი მიღება და რეალურად ის დასტაბილურდება არსებულ მდგომარეობას. მისი თქმით, გადაწყვეტილებაში საუბარი იყო იმაზე, რომ რთული იქნებოდა გაკონტროლება სტუდენტთა რაოდენობის ზრდა მოხდებოდა მედიცინის თუ სხვა პროგრამაზე.

ნ. თოქოშვილი

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მონიტორინგის ინსტიტუტის გამოყენების წინააღმდეგები ისინი არ არიან, თუმცა სტუდენტთა მონაცემების ნახვა, რომელ პროგრამაზე იღებდა დაწესებულება მომდევნო ორი წლის განმავლობაში სტუდენტებს, შესაძლებელი იყო გაკონტროლებულიყო ასევე სხვა მექანიზმებითაც.

დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ გაუგებარი იყო მონიტორინგის განხორციელება თუ მონიტორინგის მიზანი იყო ის, რომ შემოწმებულიყო ხორციელდებოდა თუ არა მხოლოდ მედიცინის მიმართულებით გაზრდილი კონტინგენტის გამოყენება და არა იმ 7 ახალი საგანმანათლებლო პროგრამის მიმართულებით, მაშინ როდესაც საბჭოს არ გაუზრდია დაწესებულებისთვის სტუდენტების ადგილების რაოდენობა.

ასევე, აპელანტმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების შემდგომ მათ დაიმატეს ერთი საგანმანათლებლო პროგრამა ავტორიზაციით და ოთხმა პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია. ამასთან, მათ ასევე შემოტანილი ჰქონდათ სააკრედიტაციო განაცხადი 3 საგანმანათლებლო პროგრამაზე, ერთ საგანმანათლებლო პროგრამაზე დასრულებული იყო წარმოებაც, სადაც მიღებული იყო უკვე 50 სტუდენტი. რეალურად დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მონაცემები გამომდინარეობდა უნივერსიტეტის კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიიდან და არ შეიძლებოდა ყოფილიყო არარეალისტური ან არარელევანტური ეს მონაცემები. მისი თქმით, ეს იყო გამჭვირვალე პროცესი. აპელანტმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ საბჭოს გადაწყვეტილებაში უნდა დაეკონკრეტებინა მონიტორინგის განხორციელების მიზანი.

სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ოკრიბელაშვილმა სთხოვა დაეხუსტებინათ დაწესებულების წარმომადგენელს მოთხოვნა, ანუ ისინი არ იყვნენ მონიტორინგის ინსტიტუტის გამოყენების წინააღმდეგი და ითხოვდნენ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის ნაწილში საკითხის ხელახლა განხილვას თუ არა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით კერესელიძემ თქვა, რომ მათი მთავარი მოთხოვნა იყო უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა და ამის შემგომ შეეძლოთ მონიტორინგის დაწესება. ისინი ბუნებრივია აცნობიერებდნენ, რომ 5000 სტუდენტს მედიცინის მიმართულებით ვერ მოემსახურებოდნენ. თუ ექსპერტთა ჯგუფმა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია არ ჩათვალა საკმარისად და დაინახეს რისკი, რომ სხვა მიმართულებით მოხდებოდა სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობის გამოყენება, იყო ბევრი ბერკეტი ამის შესამოწმებლად და გასაკონტროლებლად. ამასთან, დანართში გაწერილი ჰქონდათ დეტალურად მიღების დინამიკა, მათივე დოკუმენტის საშუალებით, შეეძლოთ შეემოწმებინათ ნებისმიერ დროს. დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ ნებისმიერ დროს ცენტრს შეეძლო უნივერსიტეტის მიერ საავტორიზაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციაზე დაყრდნობით შეემოწმებინა, რომელ პროგრამებზე ხდებოდა მიღება სტუდენტების და ბოროტად ხომ არ იყენებდა უნივერსიტეტის თავის ავტონომიურობას ამ ნაწილში. აპელანტმა კიდევ ერთხელ დასვა საკითხი, რომ რისი მონიტორინგი მოხდებოდა მისთვის იყო გაუგებარი, თუკი არ გაზრდილა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა.

საბჭოს წევრმა დავით ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ მოცემულობა იყო შემდეგი, საბჭომ არ გაუზარდა კონტიგენტი, დაწესებულებას ჰქონდა რამდენიმე საგანმანათლებლო პროგრამა, მათ შორის ერთმა უკვე გაიარა აკრედიტაცია, ის დაინტერესდა, თუ ჰქონდათ საკმარისი რესურსი მათ განსახორციელებლად დღევანდელი მონაცემებით.

დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ მათ უწევთ სტუდენტთა კონტინგენტის შემცირება სხვა საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომ ამ ახალ საგანმანათლებლო პროგრამებზე შეძლონ

სტუდენტების მიღება. მან აღნიშნა, რომ არ ჰქონდათ მატერიალური და ადამიანური რესურსის პრობლემა. მედიცინის მიმართულებით დანახულ რისკს ისინიც ეთანხმებოდნენ. კონტინგენტის მეთოდოლოგიის განსაზღვრა სწორედ იმისთვის არსებობდა, რომ შემოწმებულიყო ეს ყველაფერი.

საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ოკრიბელაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, პირველი სტანდარტი მეტწილად შესაბამისი იყო, მეორე სტანდარტი - მეტწილად შესაბამისი იყო, საგანმანათლებლო პროგრამები - მეტწილად შესაბამისი იყო, პერსონალი - მეტწილად შესაბამისი იყო, სტუდენტების სტანდარტი - სრულად შესაბამისი იყო მოთხოვნებთან. შესაბამისად, მან სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს ასევე ესაუბრა ამ გარემოებებთან მიმართებითაც.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე მოიხსნა გარკვეული საკითხები. ისინი არ ეთანხმებოდნენ სხვა საკითხებს, რისი განხილვაც მოხდა შემდგომ სხდომაზე და რასაც დაეყრდნო საბჭო გადაწყვეტილების მიღების პროცესში. დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ დისკრეციულ გადაწყვეტილებას სჭირდებოდა დასაბუთება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ითხოვდა ამას, რომ მათი გადაწყვეტილება უნდა ყოფილიყო დასაბუთებული.

2019 წლის მოწვევის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ მარიამ დარბაიძემ აღნიშნა, რომ ავტორიზაციის საბჭოს ესწრებოდა 12 სამედიცინო დარგის მოწვეული წევრი. მან აღნიშნა, რომ საბჭოს მოწვეული რამდენიმე წევრის რეპლიკამ და კომენტარმა გამოიწვია თავიდან საბჭოზე აგრესიული ფონის შექმნა. ის დაეთანხმა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ სტანდარტებთან დაკავშირებით მოხსნილი იყო გარკვეული საკითხები, თუმცა იყო რეკომენდაციები, რომელიც დაწესებულებას უნდა გაეთვალისწინებინა. მარიამ დარბაიძემ აღნიშნა, რომ მოწვეული წევრები არც კი განიხილავდნენ 150 სტუდენტზე მეტის მიღებას სამედიცინო მიმართულებით, რაც იყო განხილვის საგანი ძირითად და მოწვეულ წევრებს შორის. იგი პირადად არ ეთანხმებოდა აღნიშნულ პოზიციას, რადგან დაწესებულებას ჰქონდა საკუთარი კლინიკა. ასევე, მისი თქმით, სხდომაზე განხილული იყო საკითხები გუგლის რესურსებთან დაკავშირებით, არც ექსპერტების დასკვნა არ იყო საკმარისად არგუმენტირებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ არ აძლევდნენ პასუხის გაცემის საშუალებას, რადგან მოწვეული საბჭოს წევრები არ იყვნენ ავტორიზაციის პროცედურებში გარკვეულები.

აღნიშნულთან დაკავშირებით საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ოკრიბელაშვილმა დაამატა, რომ ოქმიდან ჩანდა, რომ იყო გარკვეულ საკითხებთან მიმართებით დისკუსია. მან მაგალითად მოიშველია რამდენიმე ამონარიდი ოქმიდან. შესაბამისად, ის ვერ გაიზიარებდა დაწესებულების არგუმენტს, რომ მათ არ ჰქონდათ სხდომის პროცესში მიმდინარე განხილვაში მონაწილეობის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა დავით კერესელიძემ ჰკითხა სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარეს რეზიდენტურაში პერსონალის ჩართვა იყო თუ არა მიწის. საბჭოს თავმჯდომარემ უპასუხა, რომ საუბარი იყო საათობრივი თვალსაზრისით გამტარიანობაზე. ნინო ოკრიბელაშვილმა აღნიშნა, რომ ამ საკითხებზე დაიწყო დისკუსია, რაც დღეს შეიძლებოდა აკრედიტაცია/ავტორიზაციის საბჭოების განსახილველი საკითხი არ იყო, თუმცა ჯანდაცვის სამინისტრო ამ მიმართულებით უკვე მსჯელობდა და გარკვეულწილად ცენტრალიზებული სისტემით დარეგულირდებოდა ეს საკითხები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სწორედ ამიტომ ითქვა, რომ კონტიგენტის გაზრდა მედიცინის მიმართულებით იყო სარისკო. მისი თქმით, აღმოჩნდა, რომ მათ საქართველოში ყველაზე დიდი ჰოსპიტალი ჰქონიათ, რაც დღეს საქართველოს დასჭირდა და უნივერსიტეტი სრულ მზადყოფნაში იყო მიეღოთ პაციენტები.

დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ ავტორიზაციის საბჭოზე იყო პოლემიკა პერსონალთან მიმართულებით, მათ თქვეს, რომ პერსონალის უმრავლესობა იყო უცხოელი, კერძოდ, ბრიტანელი და გერმანელი, კვლევით პროექტებში იყო ჩართული ისეთი პერსონალი, რომელმაც შეიძლება არ იცოდნენ ინგლისური. ასევე, მედიცინის მიმართულებით მოწვეული საბჭოს წევრმა ამირან გამყრელიძემ აღნიშნა, რომ ამ სფეროში არ იყო ბევრი ადამიანი ვისაც შეეძლო ლექციების წაკითხვა. უნივერსიტეტის წარმომადგენლის თქმით, 22 უნივერსიტეტი ახორციელებდა საქართველოში მედიცინის პროგრამას ინგლისურ ენაზე, რაც საქართველოს რეალობიდან გამომდინარე იყო უცნაური, თუმცა დავით კერესელიძის თქმით, თუ ვინმეს ამის რესურსი ჰქონდა, ეს იყო ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი.

დავით კერესელიძემ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება იყო სპეციფიური, დიდ რესურსებთან დაკავშირებული, დამატებით 1 000 სტუდენტის მიღება არ შეიძლებოდა ამ მიმართულებით, რაზეც თანხმდებოდნენ და დაწესებულება ამაზე არ დაობდა, წარდგენილი ჰქონდათ კონტიგენტის გაანგარიშების გეგმა და ამ გეგმის შესრულებას აპირებდა დაწესებულება, რომელიც ითვალისწინებდა მათ შორის მედიცინის პროგრამა კონკრეტული რაოდენობის სტუდენტების მიღებას წლების მიხედვით.

მარიამ დარბაიძემ დაამატა, რომ საბჭოზე სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამის გამტარუნარიანობაზე იყო საუბარი, მედიცინის მიმართულებით მოწვეული საბჭოს წევრმა აღნიშნეს, რომ 150 სტუდენტის გამტარუნარიანობაზე იყო საუბარი.

საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ოკრიბელაშვილმა დააზუსტა, რომ დაწესებულებას საკუთარ ჰოსპიტალში თუ არ ჰქონდა ფსიქიატრიული დეპარტამენტი ხელშეკრულება უნდა გაეფორმებინა შესაბამის კლინიკასთან, ამიტომ მხოლოდ ის, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა საკუთარი ჰოსპიტალი არ იყო არგუმენტი და საკმარისი, რომ ჰყოლოდა დიდი რაოდენობით მედიცინის პროგრამაზე სტუდენტები.

საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა: 16:04 საათზე.

საბჭოს სხდომა განახლდა: 16:20 საათზე

სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, სააპელაციო საბჭო დეტალურად გაეცნო წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარს, თანდართულ დოკუმენტაციას, ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებას, ოქმს და საავტორიზაციო მასალებს. სააპელაციო საბჭოს მოსაზრებით, უმაღლესის საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმში კარგად იყო დასაბუთებული თუ რატომ უნდა განხორციელებულიყო დაწესებულებაში მონიტორინგი. მისი მოსაზრებით, მონიტორინგი თავისი შინაარსით გულისხმობდა იმ რეკომენდაციების გადამოწმებას, რომელიც დაფიქსირებული იყო როგორც ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ასევე ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმში. სააპელაციო საბჭოს მოსაზრებით, უფრო მეტ არგუმენტაციას და დაკონკრეტებას საჭიროებდა თუ რატომ არ მოხდა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა. შესაბამისად, მიზანშეწონილი იყო, რომ საკითხი ხელახლა განსახილველად

დაბრუნებოდა შესაბამის ავტორიზაციის საბჭოს, რომელსაც უნდა ემსჯელა იყო თუ არა შესაძლებელი სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა და რა რაოდენობით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24¹-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 101-ე მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის (ს/კ:404987332) ავტორიზაციის საკითხი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დაიხურა 16:24 საათზე.

თავმჯდომარე

ნინო ოკრიბელაშვილი

მდივანი

დავით ჭეიშვილი

ნ. თქოჯ - ჭა

